*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფართის ცვლილების შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** მაია თოიძე |
| **წევრი:** |
| ნანა ვერულაშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 419 355

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

*ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):*

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

**▣ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ფარმაცია ( სააფთიაქო) | 80 | 69 | 1 |

**IV. საერთო მიმოხილვა**

„პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში ვიზიტის შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 23 მაისის №MES 8 23 0000584533 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია - თოიძე ( ჯგუფის თავმჯდომარე) და ნანა ვერულაშვილი ( წევრი; დარგს ექსპერტი) განახორციელა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ)



მ. თოიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ზ.ზ" და "ზ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტი განხორციელდება 2023 წლის 01 ივნისს, ქ. ბათუმში, მისამართზე ტბეთის ქ. №4.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2 და 2.4, ასევე მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნებისათვის პირველ ეტაპზე გამოითხოვა შემდეგი მტკიცებულებები: შევსებული ფორმა ,,ფარმაციის“ ( სააფთიაქო) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; შევსებული ფორმა ფორმა ,,ფარმაციის“ (სააფთიაქო) პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ; ,,ფარმაციის“ ( სააფთიაქო) პროგრამის ბიუჯეტი; ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები და/ან მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით; დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი; დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია; სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის რეგულაცია; ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; დაწესებულებაში მოქმედი პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები; კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებული დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ; დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულება ინტერნეტპროვაიდერთან, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება; საქმისწარმოების წესი; საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც საჭირო იყო ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების (მეორე და მეხუთე სტანდარტები) კომპონენტების შეფასებისათვის ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლა ადგილზე.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა: ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისათვის დაწესებულებაში შესწავლილი იქნა შესაბამისი მექანიზმების რეალურად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო) მატერიალური რესურსის შეფასების, ასევე, ავტორიზაციის მეხუთე სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტების შეფასების მიზნით.

განხორციელდა ვიზიტი პარტნიორი კომპანიის შპს ,,ჰეკატე“ სააფთიაქო ქსელის ბაზაზე. კერძოდ, ჰეკატე“-ს ქსელის სათავო აფთიაქში ( პეტრე მელიქიშვილის ქ. №24). შედგა ინტერვიუ აკადემიის დირექტორთან, დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კომპანიის ინსტრუქტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში.

წარმოების ფარგლებში, ხარვეზი არ გამოვლენილა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები. დაწესებულებამ გამოავლინა მიმღებლობა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებით აღვნიშნავთ, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 ივნისის №MES 2 23 0000752026 კორესპონდენციით ექსპერტთა ჯგუფს გადმოეგზავნა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის 2023 წლის №00006115 კორესპონდენციით ცენტრში წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც აკადემია ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის პროექტს და იზიარებს განმავითარებელ რეკომენდაციებს. ამასთან, 5.2.3 (1) ინდიკატორთან მიმართებაში გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აკადემიამ გვაცნობა, რომ მან გამოითხოვა შპს ,,პროსერვ ჯი“ - სგან ხელშეკრულება და მტკიცებულებად წარმოდგენილია დომეინისა და ჰოსტინგის მომსახურებასთან დაკავშირებით შპს ,,პროსერვ ჯი“ - თან 2023 წლის 23 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელსაც არ აქვს ნომერი.

ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობისა და პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილების სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | **შეესაბამება** |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | **შეესაბამება** |

## V. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა** *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

ბოლო ვიზიტი იყო მონიტორინგი და საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულების მიმართ წარმოება შეწყდა (№228462; 2022 წლის 07 მარტის). ექსპერტთა ჯგუფის მიერ განმავითარებელი რეკომენდაციები კი გაცემული არ იყო.

**VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება**

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

**IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

შესაბამისობის რეკომენდაცია გაცემული არ არის.

**X. .განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**მეხუთე სტანდარტი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.1.1 (5)** - დაწესებულებამ შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი. წარმოდგენილ დოკუმენტებში ადგილი აქვს ცალკეული საკითხების რეგულირების დუბლირებას. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აკადემიაში არსებული მექანიზმების ოპტიმიზაცია. (დეტალურად იხილეთ ინდიკატორის აღწერა)

**5.2.2 (2)** დაწესებულების მართვის, შიდა დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებელი მენეჯერული პოზიციებისთვის. (დეტალურად იხილეთ ინდიკატორის აღწერა)

**5.2.2 (1)** დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/ინდიკატორების შესრულების მტკიცებულებებად სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები, როცა მათი შესრულება დადასტურებულია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებით. (დეტალურად იხილეთ ინდიკატორის აღწერა).

**5.2.3 (1)** დაწესებულებისათვის დომეინისა და ჰოსტინგისათვის მომსახურება უზრუნველყოფილია კომპანია Proserv.ge-გან. თუმცა მათ შორის ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. თანამშრომლობა დადასტურებულია არსებული ვებ. გვერდით, საიტზე რეგისტრაციისა და მიღებული მართვის პანელის (user) დამადასტურებელი დოკუმენტაციით, კომპანია Proserv.ge-გან მიღებული ინვოისებითა და მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გააფორმოს ხელშეკრულება შპს „პროსერვ.ჯი"- სთან, რათა საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულება. (დეტალურად იხილეთ ინდიკატორის აღწერა და ვიზიტის საერთო მიმოხილვა)

**5.2.3 (1)** ვებ გვერდიდან სასურველი ინფორმაციის მარტივად მიღების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ცალკე გამოიტანოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი.

მეორე სტანდარტი

2.4.1 (4) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ისგ-ს შემუშავების შესაძლებლობა გაითვალისწინოს მოდიფიცირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. ასევე, გათვალისწინებული იყოს, რომ ისგ შესაძლოა შემუშავდეს არა მხოლოდ ინდივიდუალურად პროფესიული სტუდენტისათვის, არამედ მთელი ჯგუფისათვის.

**2.4.1 (4)** ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.

- ✓ რეგულაციის მიხედვით სსსმ პირის ისგ-ს შემუშავების პროცედურა იწყება სტუდენტის/კანონიერ წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში. 3.2 პუნქტის მიხედვით „შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს". რეკომენდებულია სსსმ/შშმ პირთათვის ისგ-ს შემუშავების საჭიროება დადგინდეს სპეციალისტთა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებელთა თანამშრომლობის საფუძველზე, ხოლო პროფესიული სტუდენტი და კანონიერი წარმომადგენელი უნდა იყვნენ ჩართული პირები. ისგ-ს შემუშავება არ უნდა იყოს დამოკიდებული პროფესიული სტუდენტის თუ მისი წარმომადგენლის მომართვიანობაზე;

- ✓ რეგულაციის მიხედვით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი მეურვე/წარმომადგენელი“. რეკომენდებულია გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ ისგ-ს შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს ქმედუუნარო სსსმ პირის კანონიერი წარმომადგენელი;

- ✓ რეგულაციის მიხედვით, ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პირის ჩარიცხვიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა“. ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით. სსსმ პირთათვის ისგ-ს შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის დაკვირვებას, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს და გარდა ამისა, ისგ-ს შემუშავება შესაძლოა საჭირო გახდეს მხოლოდ ზოგიერთი მოდულისათვის და შესაბამისად ისგ პროგრამის დასაწყისში ვერ შედგება იმ მოდულებისათვის რომლებიც სწავლის პირველ ეტაპზე არ იწყება. შესაბამისად, რეკომენდებულია, დაზუსტდეს ჩანაწერი ისგ-ს შემუშავების შესაძლო ვადებთან დაკავშირებით.

**2.4.2 (1)** - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს და დააზუსტოს დამატებითი შეფასებისა და აპელაციის პირობები, ასევ,ე გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები ცალკეულ ტერმინთა (მაგ: ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა სამართლიანობა და გამჭვირვალობა) განმარტებებთან მიმართებით.

**2.4.2 (2)** - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შემდეგი ვერიფიკაციის დროს შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში ჩართოს პროფესიული სტუდენტები.

**ზოგადი რეკომენდაცია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ გადახედოს არსებულ რეგულაციებს და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები თანამდებობრივი პოზიციების დასახელებებთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XI. სტანდარტების შეფასება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

დაწესებულება წლების მანძილზე ფუნქციონირებდა ქ. ბათუმში, პუშკინის . ქ. №118-ში. 2021 წლის ბოლოს დაწესებულებამ შეიცვალა მისამართი და ფუნქციონირებს მისამართზე - ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4. აღნიშნულ მისამართზე მას იჯარით აქვს აღებული ფართი შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკისაგან (საიდენტიფიკაციო ნომერი - 245 4120120).

2023 წლის 08 მაისის №№ 00004607 კორესპონდენციით დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაჩქარებული წარმოების წესით წარადგინა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით. განაცხადისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, დაწესებულებამ მეიჯარესთან 2023 წლის 16 იანვარს გააფორმა ახალი იჯარის ხელშეკრულება (№03-02; 16.02.2023). აკადემიამ იმავე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისამართზე შეიცვალა ფართი და ნაცვლად მეორე- მესამე სართულებისა საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს მესამე შენობის მეექვსე სართულზე. საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით ზემოაღნიშნული მეექვსე სართულის 1098, 80 კვ. მეტრიდან აკადემიამ საგანმანათლებლო საქმიანობისთვის იჯარით აიღო 930 კვ.მ. ხელშეკრულების მიხედვით (1.7 პუნქტი) მხარეები საერთო სარგებლობაში იყენებენ მე-5 სართულის სამ ოთახსაც.

გარდა იჯარის ხელშეკრულებისა, აკადემიის საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერით ( საკადასტრო კოდი - №05.30. 24.013. 03.503). საიჯარო ხელშეკრულება ძალაშია 2025 წლის 01 ოქტომბრამდე. შპს ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიას", პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 09 სექტემბრის №166 გადაწყვეტილების მიხედვით, ავტორიზაცია მოპოვებული აქვს 2025 წლის 09 სექტემბრამდე.

შესაბამისად, რომ დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აქვს საიჯარო ხელშეკრულება ავტორიზაციის ვადით ( 2022 წლის 01 ოქტომბრამდე).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი და შევსებული ფორმა მე-5 სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია მატერიალური რესურსის, მათ შორის, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ( ბალანსზე რიცხული საშუალებების ჩამონათალი; ინვენტარიზაციის აქტები, სასაქონლო ზედნადებები, მიღება - ჩაბარების აქტები). ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, ექთნის ოთახი, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები. ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამისად ფუნქციონირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის**

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 08.07. № 3184 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსის გამოყენება- განკარგვის და შეფასების წესი“, რომელიც არეგულირებს აკადემიის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხებს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ხელმძღვანელის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, აკადემიის ლაბორატორიებით. პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან მეცადინეობებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილების, გათბობისა და სავენტილაციო სისტემებით აკადემიის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სტუდენტური სივრცეებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ლიფტი. სველი წერტილები ადაპტირებულია. შესაბამისად, უზრუნველყოფილია გადაადგილება ეტლით მოსარგებლე პირთათვის.

ვიზიტის პერიოდში შედგა ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან. მათ აღნიშნეს, რომ ახალ ფართში გადმოსვლამდე სასწავლებელში არ ყოფილა გამოწვევა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის, საერთო სივრცეებისა თუ მატერიალური რესურსის გამოყენების თვალსაზრისით და არც ამ ეტაპზე აქვთ.

**შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის**

**3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სანიტარულ - ჰიგიენური წესებისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟი“. დოკუმენტი მოიცავს პანდემიურ და არაპანდემიურ სიტუაციებში დასუფთავების წესებსა და პერიოდულობას. უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური სანიტარული დამუშავება. პერიოდულად ხდება თანამშრომელთა და სტუდენტთა ინფორმირება სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. აღნიშნულზე პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სასწავლებლის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება დამლაგებელთან, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. წარმოდგენილია სანიტარულ - ჰიგიენური დამუშავებისათვის საჭირო მასალა - ნედლეულის შესყიდვის, წყლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს დაწესებულება და ვიზუალურადაც დასტურდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

**შესაბამისად, დადასტურებულია, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები**

**4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით**

დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და მტკიცებულებად წარმოდგენილია ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

**5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები**

დაწესებულებამ შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წარმოადგინა რამდენიმე მექანიზმი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომლის 25 - ე პუნქტი არეგულირებს დაწესებულების თანამშრომელთა უსაფრთხოების, დაწესებულებაში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის საკითხებს. გარდა აღნიშნულისა დაწესებულებაში შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით კიდევ არსებობს სხვა მექანიზმები. კერძოდ:

1. აკადემიის დირექტორის 2019 წლის 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში;
2. შრომის უსაფრთხოების გეგმა ( 2023-2024)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ,,შრომის უსაფრთხოების წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2022 წლის 11 ოქტომბრის №00009398 ბრძანება

<u>**იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ადგილი აქვს ცალკეული პუნქტების დუბლირებას. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აკადემიაში არსებული მექანიზმების ოპტიმიზაცია.**</u>

აკადემიაში შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე შ. უ. მას დირექტორის 2019 წლის 04 სექტემბრის №01-81 ბრძანებით გაეზარდა უფლება - მოვალეობა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. შ.უ არის შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტი. მტკიცებულებად წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტის 2022 წელს გაცემული სერტიფიკატი ( სარეგისტრაციო ნომრით - 0019-22.).
შრომის უსაფრთხოების აკრედიტებულ სპეციალისტი თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობები გაწერილია სამუშაო აღწერილობაში. ვიზიტისას მის მიერ წარმოდგენილი იქნა ,,შრომის უსაფრთხოების ჟურნალი“, რომლითაც დადასტურებულია დასაქმებულთა და პროფესიულ სტუდენტთათვის ინსტრუქტაჟების ჩატარება. აღნიშნული დადასტურდა თანამშრომლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები**

აკადემიის დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის №01-81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, სასწავლებელი ახორციელებს მასალა-ნედლეულის შესყიდვას. და პასუხისმგებლობა აღნიშნულზე დირექტორის მოადგილეს აკისრია. რეგულაციით განსაზღვრულია მასალა - ნედლეულით სასწავლო პროცესის მომარაგების პროცედურის თითოეულ ეტაპზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მტკიცებულებები: მასალა - ნედლეულის მოთხოვნაზე სამსახურებრივი ბარათები, ჩაბარების, ჩამოწერის აქტები.

უტილიზაციასთან დაკავშირებით კი წარმოდგენილია აკადემიის დირექტორის დირექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის

№129 ბრძანებით დამტკიცებული (მასში შესული ცვლილებებით) ნარჩენების მართვის გეგმა ( 2021). უტილიზაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მეიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მეიჯარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საიჯარო ფართი სამედიცინო და ბიო- ქიმიური ნარჩენების გასატანად კონტეინერებით. მოიჯარეს აძლევს უფლებას ისარგებლოს სპეც. კონტეინერებით სამედიცინო და ბიო- ქიმიური ნარჩენების გასატანად. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნარჩენების გასატანად დაწესებულება დამატებით მომსახურების ხელშეკრულებას არ საჭიროებს.

პროგრამის განმახორციელებელთა და სტუდენტთა განმარტებით, სასწავლო რესურსთან დაკავშირებით გამოწვევა არ აქვთ. რაც შეეხება პარტნიორ ორგანიზაციებში გატანილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსს, ის სრულად უზრუნველყოფილია პრაქტიკის ბაზებზე.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას**

ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის . № 3184 ბრძანებით დამტკიცებულია ,, მატერიალური რესურსის გამოყენება- განკარგვის და შეფასების წესი“. დოკუმენტი არეგულირებს აკადემიის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესს, მათ შორის, განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

აკადემიის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან ერთად, ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. კვარტალში ერთხელ ფინანსური მენეჯერი, ტექნიკურ მუშაკთან ერთად ახორციელებს აკადემიის მატერიალურ რესურსების შეფასებას და შედეგს წარუდგენს აკადემიის დირექტორს. ყოველწლიურად ინვენტარიზაციის კომისია ატარებს აკადემიის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციას. საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე პ/მგ. პირი და პროგრამის ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა აკადემიაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პ/მგ.პირი, ფინანსური მენეჯერი.

ვიზიტისას ფინანსური მენეჯერის მიერ წარმოდგენილი იქნა ზემოაღნიშნული მექანიზმის დანერგვის მტკიცებულებები. მათ შორის, შევსებული ფორმები მატერიალური რესურსის შეფასებისა და განვითარების გეგმებისთვის. წარმოდგენილია ინვენტარიზაციის აქტები ( 2022 და 2023). ინვენტარიზაცია, რეგულაციის მიხედვით ტარდება ყოველი წლის ბოლოს, მაგრამ 2023 წელს ახალ ფართზე გადმოსვლიდან გამომდინარე, გადმოსვლის პერიოდშიც არის ჩატარებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული რეგულაციების მიხედვით, შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ხარისხის მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, მათ შორის, მატერიალური რესურსების შეფასებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი იქნა ელექტრონულად ჩატარებული კვლევის შედეგები. სტუდენტები დადებითად აფასებენ დაწესებულებას 5.1 კომპონენტთან ( ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები) მიმართებაში.

**დადასტურებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას**

**8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესამლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის**

სასწავლებელში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები ( 5 კვანძი), რომლებიც უზრუნველყოფილია წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესამლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის ( ერთი სანიტარული კვანძი ადაპტირებულია)..

წარმოდგენილია ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

**ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა**

სასწავლებელში ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტს და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

**აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებით.**

**10. სასწავლებელში არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებით.

**11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად**

ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი, რომლებშიც ჩატვირთულია ელექტრონული სასწავლო რესურსი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში მოქმედებს სასწავლებლის დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, გამოკრულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის რეგულაციები მიხედვით, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და ინტერნეტრესურსებით, ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00-სთ-დან – 19.00-მდე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას აქვს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი - Open Binlio. ასევე, დაწესებულებას ელექტრონული რესურსი განთავსებული აქვს ვებ. გვერდზე და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სახლიდან მათზე წვდომა.
ბიბლიოთეკას ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის პირი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება.

**შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკას შორის გაფორმებული 2023 წელის 16 იანვრის №02-03 იჯარის ხელშეკრულება;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერი ( საკადასტრო კოდი - №05.30. 24.013. 03.503);
- ბალანსზე რიცხული საშუალებების ჩამონათვალი ( 2022 წელი)
- ინვენტარიზაციის აქტები 9 2022; 2023 წლების)
- მატერიალური რესურსის მიღება- ჩაბარების აქტები; სასაქონლო ზედნადებები; შესყიდვის ხელშეკრულებები;
- ,,მატერიალური რესურსის გამოყენება- განკარგვის და შეფასების წესი“-ს დამტკიცების შესახებ შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის № 3184 ბრძანება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ,,სანიტარულ - ჰიგიენური წესებისა და უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟი“
- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20.02. N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- აკადემიის დირექტორის 2019 წლის 16 ოქტომბრის №01-109 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ პოლიტიკა შრომის უსაფრთხოებს სფეროში;
- შრომის უსაფრთხოების გეგმა ( 2023-2024);
- ,,შრომის უსაფრთხოების წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2022 წლის 11 ოქტომბრის №00009398 ბრძანება
- ,,შრომის უსაფრთხოების დარგში დირექტორის მოადგილის კომპეტენციის შესახებ“ შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2019 წლის 04 სექტემბრის №01-81 ბრძანება
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე (შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის გავლის მტკიცებულება);
- შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალი;
- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი“ - დამტკიცებული აკადემიის დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის №01-81 ბრძანებით;

- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მასალები ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

➢ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი;

➢ ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

**5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები**

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკას შორის გაფორმებული 2023 წელის 16 იანვრის №02-03 იჯარის ხელშეკრულების 3.1.4. პუნქტის თანახმად, მეიჯარე იღებს ვალდებულებას აკადემია უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებით. ამასთან, აკადემიას როგორც მოიჯარეს აღებული აქვს ვალდებულება (პუნქტი 3.2.5) იქონიოს საიჯარო საგანი ტექნიკურ და სანიტარულ მდგომარეობაში და დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, მეიჯარის მიერ მისთვის გადაცემული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 23 სექტემბრის №MIA 5 22 02662334 კორესპონდენციით მეიჯარისათვის გაგზავნილი შემოწმების დოკუმენტი (მითითებულია შენობის მისამართი და საკადასტრო კოდი), რომლის მიხედვით, მითითებულ მისამართზე შეფასებულია: სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მდგომარეობა, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობა, ობიექტის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის მდგომარეობა, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების მდგომარეობა და დადასტურებულია სახანძრო უსაფრთხოება.

აღსანიშნავია, რომ შენობა სადაც აკადემიაა განთავსებული არის ახლად აშენებული და დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2022 წელს შენობის ექსპლუატაციაში მიღების მტკიცებულება. კერძოდ, წარმოდგენილია ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 29 ნოემბრის №ზ.12. 1422333001 ბრძანება ,,მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“. ბრძანებაში მითითებულია ობიექტის მისამართი და უძრავი ქონების საკადასტრო კოდი.

**შესაბამისად, ექსპერტები თვლიან რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნა.**

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N01– 28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება მოიცავს ინფორმაციას პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებთან დაკავშირებით. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია სამედიცინო კაბინეტის გამგის საშტატო ერთეული. კოლეჯში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესასრულებელი ფუნქცია - მოვალეობები. პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტში არსებობს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. ვიზიტის დროს განხორციელდა გადაუდებელი დახმარების ოთახის ვიზუალური დათვალიერება.

**ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

**3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ექსპერტების დასკვნით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას**

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკას შორის გაფორმებული 2023 წლის 16 იანვრის №02-03 იჯარის ხელშეკრულების 3.1.4. პუნქტის თანახმად, მეიჯარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სასწავლებელი წესრიგის დაცვით.

აკადემიაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები. ვიდეოკონტროლის განხორციელების საკითხი გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით. აკადემიის პერიმეტრზე წარმოებული ვიდეოკონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი განთავსებულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილებში.

პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ყოველ ორ საათში ერთხელ წესრიგის დაცვის სამსახურის მიერ ხდება შენობის დათვალიერება. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ეკრანი განთავსებულია პირველ სართულზე, დაცვის სამსახურთან და დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაციის ამოღება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მტკიცებულებით, ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მექანიზმების ფუნქციონირება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკას შორის გაფორმებული 2023 წელის 16 იანვრის №02-03 იჯარის ხელშეკრულება;
- ,,მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ" ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 29 ნოემბრის №ბ.12. 1422333001 ბრძანება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა;
- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი);
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 23 სექტემბრის №MIA 5 22 02662334 კორესპონდენცია - შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 29 ნოემბრის №ზ.12. 1422333001 ბრძანება ,,მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ";
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი'
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს**

კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით.ჯამში დაწესებულების ბალანზე ირიცხება 34 პერსონალური კომპიუტერი და 6 ნოუთბუქი. ისინი განკუთვნილია პროგრამების, ადმინისტრაციისა და ბიბლიოთეკისათვის, რაც დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი მტკიცებულებით ( ბალანსზე რიცხული საშუალებების ჩამონათვალი).

თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. ყველა ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობის შესაძლებლობა. ,,ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ჩანს პროგრამის შეფასებისას. კერძოდ, დაწესებულებას კომპიუტერული კლასი მოწყობილი აქვს ჯგუფში 22 პროფესიული სტუდენტისთვის.

კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უსადენო, ასევე სადენიანი ინტერნეტი. დაწესებულების ყველა სივრცეში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსადენო ინტერნეტთან დაკავშირების ინსტრუქცია.

აკადემიას ინტერნეტ პროვაიდერთან მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვს, ვინაიდან, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკას შორის გაფორმებული 2023 წელის 16 იანვრის №02-03 იჯარის ხელშეკრულების 3.1.4. პუნქტის თანახმად, მეიჯარე იღებს ვალდებულებას აკადემია უზრუნველყოს ინტერნეტით, თუმცა გადახდას უზრუნველყოფს აკადემია. შესაბამისად, ინტერნეტთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ინტერნეტ მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას**

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №01-04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები“, სადაც გაწერილია საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის ზოგადი პროცედურები. აკადემიის სტრუქტურით გათვალისწინებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის თანამდებობა, რომლის ფუნქცია - მოვალეობებია: საინფორმაციო ტექნოლოგიების - IT რისკების მართვა, რომელიც მოიცავს რისკების მართვის პროცესის რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას, რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვება, თანამშრომლების ინფორმირებულობა რისკებისა და მათი შემცირების გზების შესახებ და სხვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დასტურდება  პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც არის შესაბამისი კომპეტენციის პირი.

სამუშაო  აღწერილობა და პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. პასუხისმგებელი პირი სისტემატურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების აღმოფხვრას,  ასევე,  პროგრამულ უზრუნველყოფას.

კოლეჯმა წარმოადგინა 2023 მაისში კომპიუტერული აუდიტორიის შემოწმების აქტი, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი ხელმოწერით ადასტურებს რომ B გარემოში არსებული კომპიუტერული მოწყობილობები არის გამართულ მდგომარეობაში.

**ყოველივე ზემოაღნიშნულით ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას**

აკადემიას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, რომლითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ბათუმის სამედიცინო აკადემია დასაქმებულების, სტუდენტების და, ზოგადად, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვას და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და აკადემიის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ შესაბამისად. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს იმ პირებს რომელთაც წვდომა აქვთ პერსონალურ მონაცემებზე. ხოლო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისწარმოებისა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია: პოლიტიკის მიზანი, აკადემიის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები, სტუდენტური ბაზის ადმინისტრირების საკითხები, ვიდეოკონტროლისა განხორციელება, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვა, ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

კოლეჯის მიერ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებად, წარმოდგენილია პერსონალის თანხმობის ფურცლები, კოლეჯის მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დადგინდა, რომ კოლეჯში დაცულია თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

**4.პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას**

აკადემიის დირექტორის 2022 წლის 1 აგვისტოს № 5667 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრისდა მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები, რომლის შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მიხედვით, აკადემიის პროფესიული სტუდენტები და პერსონალი უფლებამოსილია ისარგებლოს აკადემიის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და და მომსახურებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი. აკადემიაში ხელმისაწვდომია სადენიანი და უსადენო ინტერნეტი დაწესებულების მიერ მეიჯარესთან 2023 წლის 16 იანვარს N 03-02 გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საგანში შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია აკისრებს ვალდებულებას მეიჯარეს რომ დაკავებულ ფართზე მან უზრუნველყოს აკადემიისთვის ინტერნეტის მიწოდება.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის თებერვალში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები, რომლის შესაბამისადაც გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისა და აკადემიის პერსონალის მიერ IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიუირებისას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულებისIT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

**6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით**

დაწესებულების მერი შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესისა და პროცედურების მე- 2 მუხლის მიხედვით (ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი) დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურებას. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი რეგისტრაციის მომენტში ხელს აწერს თანხმობას, რომ მის მიერ მითითებული ელექტრონული მისამართი წარმოადგენს მასსა და კოლეჯს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ოფიციალურ გზას და აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის მხრიდან გაგზავნილი ყველა სახის ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო მასალებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ ელექტრონულ ფოსტაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუირებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ინოვაციური მედიცინის უნივერსიტეტი/კლინიკას შორის გაფორმებული 2023 წლის 16 იანვრის №02-03 იჯარის ხელშეკრულება;
- აკადემიის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №01-04 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები;
- ,,აკადემიაში რიცხული მატერიალურ ფასეულობათა ჩამონათვალი‘‘- ( 2023 წელი);
- საინფორმაციო რესურსების შემოწმების აქტები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერის პირადი საქმე (მათ შორის, ხელშეკრულება);
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2022 წლის 1 აგვისტოს № 5667 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;

- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება

- 2023 წლის თებერვალში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა საგანმანათლებლო გარემოს, კოლეჯის ინფრასტრუქტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით;

- კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

**5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

კოლეჯის დირექტორის ს 2019 წლის 18 თებერვლის N 01- 22 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 24.03. №2113 ბრძანებით) დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი" რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების დაარქივებას და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს.

კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან. დაწესებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰყავს საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

ვიზიტისას გადამოწმდა საქმისწარმოების წესების დანერგვა (შემოსული და გასული კორესპონდენციების წარმოება, ბრძანებების შექმნა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში, მათი გატარება და სხვ. დადასტურებულია, რომ დაწესებულება თავის საქმიანობას განახორციელებს დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა რა დაწესებულების მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია, აქვს განმავითარებელი რეკომენდაცია: <u>დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/ინდიკატორების შესრულების მტკიცებულებებად სსიპ განათლების ხარისხის</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები, როცა მათი შესრულება დადასტურებულია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებით (და არა ამონარიდი დოკუმენტებიდან/ბრძანებებიდან, რომლებიც არ არის საქმისწარმოების წესის შესაბამისად დამოწმებული).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის -,,eflow"-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

დაწესებულება ელექტრონულ საქმისწარმოებას წარმართავს როგორც Eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის გამოყენებით, ასევე მატერიალურად. აკადემიას შეძენილი აქვს Eflow-ს ორი მომხმარებელი (საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და აკადემიის დირექტორი) და ელექტრონულ შემოსულ კორესპონდენცია მატერიალური სახით მიეწოდება შესასრულებლად შესაბამის თანამშრომელს, რაც ართულებს შიდა კომუნიკაციას და დავალების შესულების ვადების კონტროლს. ასევე, ზრდის ინფორმაციის გაბნევის ალბათობას.

დაწესებულების მართვის, შიდა დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებელი მენეჯერული პოზიციებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობითდადგენილი წესით შეტანას**

რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.**

**4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპონდენციები, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპონდენციის შესრულების ვადების დაცვა.

**დადასტურდა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 თებერვლის N 01- 22 ბრძანებით ( უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 24.03. №2113 ბრძანებით) დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები;
- შიდა დოკუმენტები და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგები;
- კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

### 5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას დაითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.bmeda.edu.ge/ka და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/bmpc.bmpc.

აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ.

ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. პროგრამების გრაფაში განთავსებულია პროგრამების კატალოგების არქივი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ყველა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებსაც დაწესებულება ახორციელებს. თუმცა ვებ გვერდზე არ არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, ისე რომ დაინტერესებულმა პირმა მარტივად მოიპოვოს ინფორმაცია.

**შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ცალკე გრაფად გამოიტანოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რათა დაინტერესებულმა პირებმა უფრო მარტივად შეძლონ სასურველი ინფორმაციის მოძიება.**

ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2018 წელს დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება Serv.ge -სთან, რომელიც უზრუნველყოფდა დომეინის და ჰოსტინგის მომსახურების მიწოდებას.

2021 წელს დაწესებულებამ განაახლა ვებ გვერდი ( 2021 წლის 12 აპრილის ხელშეკრულება) რისთვისაც გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან (ა.კ). განახლებული ვებ გვერდის სივრცის ფლობისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა კომპანია Proserv.ge-გან მიღებული ინვოისები და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, საიტზე რეგისტრაციისა და მიღებული მართვის პანელის (user) დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ კომპანიასთან აკადემიას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება. <u>დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გააფორმოს ხელშეკრულება შპს „პროსერვ.ჯი''- სთან, რათა საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულება.</u>

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულია, რომ აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

**2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამისგანხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგიონში დანერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის და სხვა პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათი რეალიზებით უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და უწყვეტი განათლების ხელშეწყობით იზრუნოს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაზე.

მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, ამდენად დაწესებულებას არ აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ვებ გვერდზე დაწესებულების შესახებ ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდსანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №01-04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები“, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლოაქტივობების შესახებ

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023“, სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ. ასევე მოცემულია ფოტო-კოლაჟი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

კატალოგში ასევე მოცემულია ანონსი იმ პროგრამის თაობაზე რომლის დამატებასაც აპირებს კოლეჯი 2023 სასწავლო წლისათვის.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

4. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად**

კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერვებ გვერდზე წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობისხარისხის გასაუმჯობესებლად

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №01-04 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები“, რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: ავრცელებს კოლეჯის სახელით ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს, ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებას, ხელს უწყობს კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების და პერსონალის პოპულარიზაციას, აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს, აწარმოებს შიდა საორგანიზაციო კომუნიკაციას, გეგმავს და ახორციელებს კოლეჯში კულტურულ-შემოქმედებით, ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, მართავს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში, სადაც მუდმივად აახლებს ინფორმაციას, აწყობს პრესკონფერენციებს/სემინარებს და სხვა ღონისძიებებს კოლეჯის საჭიროების შესაბამისად. საჭიროების შესაბამისად ამზადებს/ავრცელებს სარეკლამო მასალებს, ხელს უწყობს აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/თანამშრომლების/დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი, კოლეჯი ახორციელებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მიდგომები, დაასახელა ცალკეული მაგალითები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როდესაც დაინტერესებული პირების მიერ მიღებულ იქნა ინფორმაცია/შეტყობინება კოლეჯის ცალკეული პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, რაც კოლეჯმა გაითვალისწინა თავის საქმიანობაში.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვაარხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდის https://www.imediprof.edu.ge/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდის - https://www.facebook.com/imedicollege შემოწმების შედეგები;
- აკადემიის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის №01-04 ბრძანებით დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესები და პროცედურები“,
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი - 2023;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი;
- კომპანია Proserv.ge-სთან არსებული მიმოწერა; მიღებული ინვოისები და დომეინისა და ჰოსტინგის მომსახურებისათვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია ( საავფთიაქო) |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | №01-27; 2019<br>№4444; 03.05.2023 ( ბოლო ცვლილების რეკვიზიტი) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური (კოოპერაციული) |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 80 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი ( ფარმაცია ( სააფთიაქო)

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია ( სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება ( 2.2 და 2.4 კომპონენტების შეფასება)**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქ. ბათუმში შემდეგ მისამართზე - ტბეთის ქუჩა N4. მე- 6 სართული. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 80 პროფესიული სტუდენტი. პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია - 69 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს ორი A/C გარემო (N618; N620 ), A სასწავლო გარემო (N 607 ) და ერთი B გარემო (N 602)

სასწავლო გარემოს მოდელი A გარემო (№607) განკუთვნილია 90 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია: 18 ცალი 5 ადგილიანი სამუშაო მაგიდები, 90 სკამი, 1 ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**B გარემოში (№602)** - განთავსებულია 22 სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომპიუტერის კომპლექტი და პროექტორი. B სასწავლო გარემო გათვალისწინებულია 3 პროფესიული პროგრამის (,,საექთნო განათლება", ,,ფარმაცია (სააფთიაქო), ,,კბილის სატექნიკო საქმე") ,,ინფორმაციული წიგნიერების" მოდულის განხორციელებისათვის და მისი საშუალო დატვირთვა შეადგენს 5%-ს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა როგორც პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე მათი ფაქტობრივი არსებობა და გარემოს გამტარობა.

**A/C გარემო (№620)**- განკუთვნილია 27 პროფესიული სტუდენტისათვის და განთავსებულია: მაგიდები და სკამები 27 ცალი სტუდენტისა და 1 ცალი მასწავლებლისთვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), იმიტირებული აფთიაქი ღია და დახურული კარადებით, დახლით, დამცავი მინით, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით, პროგრამის დანართის შესაბამისად.

**A /C გარემო - (№618)** - აუდიტორია-ფარმაკო- ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია რომელიც აღჭურვილია: პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით (1 ც მონიტორი), დაფით (1 ცალი), 1 ცალი კომპიუტერი ქსეროქსის აპარატით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), პროფესიული სტუდენტისათვის სულ 44 სკამი, აქედან პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით ( 7 ც ქიმიური მაგიდა 22 ლაბორატორიული სკამით და სტუდენტის 22 სკამი მაგიდით). სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით, პროგრამის დანართს შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

შპს ,,გეფა“ – აქვს მზაობა ერთდროულად მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი;

კომპანია ,,გოლდ ფარმა“ (5 აფთიაქი) - აქვს მზაობა ერთდროულად მიიღოს ერთ ცვლაში - 10 პროფესიული სტუდენტი; ორ ცვლაში - 20 პროფესიული სტუდენტი;

შპს ,,ჰეკატე“- ( 12 აფთიაქი) - აქვს მზაობა ერთდროულად მიიღოს ერთ ცვლაში - 24 პროფესიული სტუდენტი; ორ ცვლაში - 48 პროფესიული სტუდენტი;

შპს ,,ბაკურიძე და კომპანია“ ( 2 აფთიაქი) - აქვს მზაობა ერთდროულად მიიღოს ერთ ცვლაში 4 პროფესიული სტუდენტი; ორ ცვლაში 8 პროფესიული სტუდენტი;

მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა ამგვარად გამოიყურება: ჯამში ხელშეკრულებები და მემორანდუმი გაფორმებულია 116 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე. ერთ ცვლაში შესაძლებელია 78 პროფესიული სტუდენტის სწავლება.

პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 8 პროფესიული მოდულის პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

1. “სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტი განხორციელდა პარტნიორ კომპანიაში შპს ,,ჰეკატე“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კოლეჯთან და არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზა საუკეთესო საპრაქტიკო ობიექტია პროფესიულ სტუდენტთათვის.

ექსპერტებმა ვიზიტისას გამოითხოვეს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ტევადობის და მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით. პსდ-მ ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოების დატვირთვის სქემა.

**ექსპერტთა მიერ დაწესებულების სასწავლო გარემოთა, მატერიალური და ადამიანური რესურსის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების/მემორანდუმის ანალიზით დადასტურებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

**2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია ( სააფთიაქო)“ განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 6 ზოგადი მოდულები და 19 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათი რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. შემოწმდა ექსპერტების მიერ ასევე გადაფარვები იმ პედაგოგთა საათობრივი დატვირთვისა, რომლებიც ახორციელებენ მოდულებს როგორც „ფარმაცია საafთიაქოს", ასევე „საექთნო განათლების" პროგრამების ფარგლებში. ამ შემთხვევაშიც დატვირ\თვა არ აღემატებოდა 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება. პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს ახორციელებს 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, პედაგოგთა რაოდენობა უზრუნველყოფს, რომ ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი და სხვა, საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

პარტნორ კომპანიებში პრაქტიკულ სწავლებას, კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში უზრუნველყოფს კომპანიის ინსტრუქტორი.

**პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მათ შორის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. წარმოდგენილი მტკიცებულებებითაც დადასტურებულია, რომ პროგრამის მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში.

**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

,,ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების დოკუმენტაცია დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისია. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს და ჩართულია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს დადასტურებულია, რომ ის ძალიან კარად იცნობს პროგრამას, ზოგადად შრომის ბაზარს და აქტიურ კომუნიკაციაშია პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ ინსტრუქტორებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საბიბლიოთეკო სივრცე, შედგა ბიბლიოთეკართან გასაუბრება. ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა წიგნების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც ჩანს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო რესურსების გატანა და დაბრუნება.

კოლეჯის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობა შეუძლია კოლეჯის ყველა სტუდენტს, მასწავლებელსა და პერსონალს. ელექტრონული რესურსები დაჯგუფებულია პროგრამების მიხედვით.

**ექსპერტთა შეფასებით, პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების განმარტებით მათ არ ჰყოლიათ სსსმ პირი და საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ სასწავლო რესურსის ადაპტირებას, რაც გაწერილი აქვთ შესაბამის რეგულაციაში. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია" (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 18 იანვრის №01-01 ბრძანებით, უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2021 წლის 25.06 N 2925 ბრძანებით), სადაც გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ,,ფარმაციის" საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში, მოცემულია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება (ერთ სტუდენტზე -7678 ლარი ) და სტუდენტისთვის დადგენილი დამატებითი სწავლის გადასახადი(1200 ლარი). კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი შეადგენს 177560 ლარს. პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია შემდეგი ხარჯები: პროგრამის განმახორციელებელი პირების და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯი და იჯარა, სასწავლო მასალები, კლინიკური პრაქტიკის ბაზით სარგებლობა; პროფესიულ სტუდენტთა ღონისძიებები, პროფესიული მასწავლებლების განვითარება და სხვა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფინანსურმა მენეჯერმა ინტერვიუთი დაადასტურა, რომ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

**ექსპერტთა აზრით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ,,ფარმაციის (სააფთაქო)' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია"( დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 18 იანვრის №01-01 ბრძანებით, უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2021 წლის 25.06 N 2925 ბრძანებით
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის მატერიალური რესურსების შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის შემოწმების შედეგი;
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ფარმაცევტულ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები;
- განმახორციელებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება, რომლითაც დარეგულირებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. საგანმანათლებლო პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე. ასევე, აკადემიის სტრუქტურით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მენეჯერის საშტატო ერთეული.

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა, რომელსაც მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებლები წარადგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ნიმუშის სახით გაანალიზდა ოთხი მოდულის კალენდარული გეგმა.

ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან. გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა პროგრამის სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. დადასტურებულია სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა.

ასევე, შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა პარტნიორ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასა და სწავლებასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდისთვის პირველკურსელებს გავლილი ჰქონდათ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება ორი მოდულის ფარგლებში ( სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში) პარტნიორ სააფთიაქო ქსელებში: შპს ,,ჰეკატე“ და შპს ,,გეფა“. კომპანიებში სწავლება განხორციელდა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. აღნიშნული დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და (შპს ,,ჰეკატე“) კომპანიის

წარმომადგენელთან ინტერვიუთი. ასევე, კომპანიებიდან წარმოდგენილი სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებებით.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის ცვლილება ( მათ შორის, პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლების დაგეგმვა) არის პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოწესრიგებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას აკადემიამ გაითვალისწინა მათი ინტერესები და ყველა სტუდენტს მიეცა საშუალება რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება გაევლოთ ორ სხვადასხვა კომპანიაში ( შპს ,,ჰეკატე“ და შპს ,,გეფა).

**ექსპერტები ადასტურებენ, რომ აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სისტემატურად კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები**

აკადემიის დირექტორის 2021 წლის 18 იანვრის №01-01 ბრძანებით (ცვლილება 2021 წლის 25.06 N 2925 ბრძანებით) დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში მობილობით გადმოსული სტუდენტისთვის, სტატუსაღდგენილი სტუდენტისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გულისხმობდეს ასევე სწავლების დისტანციური მეთოდების გამოყენებას გარკვეული სასწავლო შედეგების შესაბამისად. რეგულაციის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს ასევე სასწავლო პროცესთან შეუთავსებელი სამსახურის მქონე პირისთვის, ასევე გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის პროცესში მყოფი, სპორტით დაკავებული და სხვა მსგავსი პირებისთვის.

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ისგ-ს შემუშავების შესაძლებლობა გაითვალისწინოს მოდიფიცირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. ასევე, გათვალისწინებული იყოს რომ ისგ შესაძლოა შემუშავდეს არა ინდივიდუალური სტუდენტისათვის არამედ მთელი ჯგუფისათვის, რომლის პრეცედენტიც დაწესებულებას ჰქონდა 2022 წელს.

ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები უშუალოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.

✓ რეგულაციის მიხედვით სსსმ პირის ისგ-ს შემუშავების პროცედურა იწყება სტუდენტის/კანონიერ წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში. 3.2 პუნქტის მიხედვით ,,შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე

სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს“. რეკომენდებულია სსსმ/შშმ პირთათვის ისგ-ს შემუშავების საჭიროება დადგინდეს სპეციალისტთა და პროგრამის განმახორციელებელთა თანამშრომლობის საფუძველზე, ხოლო პროფესიული სტუდენტი და კანონიერი წარმომადგენელი უნდა იყვნენ ჩართული პირები. ისგ-ს შემუშავება არ უნდა იყოს დამოკიდებული პროფესიული სტუდენტის თუ მისი წარმომადგენლის მომართვიანობაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ რეგულაციის მიხედვით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი მეურვე/წარმომადგენელი“. რეკომენდებულია გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ ისგ-ს შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს ქმედუუნარო სსსმ პირის კანონიერი წარმომადგენელი;

✓ რეგულაციის მიხედვით, ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პირის ჩარიცხვიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა“. ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით. სსსმ პირთათვის ისგ-ს შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის დაკვირვებას, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს და გარდა ამისა, ისგ-ს შემუშავება შესაძლოა საჭირო გახდეს მხოლოდ ზოგიერთი მოდულისათვის და შესაბამისად ისგ ვერ შედგება იმ მოდულებისათვის რომლებიც სწავლის პირველ ეტაპზე არ იწყება. შესაბამისად, რეკომენდებულია, დაზუსტდეს ჩანაწერი ისგ-ს შემუშავების შესაძლო ვადებთან დაკავშირებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ აკადემიას შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტი არასოდეს ჰყოლია და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერისთვის კონტრაქტით აიყვანენ შესაბამის სპეციალისტს.

ექსპერტებმა ვიზიტისას შეისწავლეს დაწესებულებაში არსებული გამოცდილება მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის ისგ- ს შემუშავებასთან დაკავშირებით. ბათუმის სამედიცინო აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამაზე 2022 წლის ბოლოს მობილობით ჩაირიცხა პირველ კურსზე 27 ( 2022 წლის მიღება) , ხოლო მეორე კურსზე - 22 პროფესიული სტუდენტი ( 2022 წლის მიღება). წარმოდგენილია აკადემიის დირექტორის 2023 წლის 25ზიანვრის №00000540 ბრძანება ,,მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ“. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო მობილობით გადმოსულ პირთათვის ქ. ბათუმის სამედიცინო აკადემიის სწავლის შედეგების შესაბამისობის დამდგენი ( აღიარების) კომისიის 2022 წლის 20 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი და დაწესებულებამ შეიმუშავა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და დაამტკიცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მობილობით გადმოსულ პირთათვის მათ მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ანალიზის გზით.  შესაბამისად, დადგენილია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო მობილობით გადმოსულ პირთათვის შესაბამისი წესისა და პროცედურის დაცვით ისგ-ს შემუშავება.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

7. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით**

დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს დადებული რამდენიმე ფარმაცევტულ დაწესებულებასთან( შპს ,,ჰეკატე“ - ხელშეკრულება №03-10; 18.02 2019; შპს გეფა“ - ხელშეკრულება №03-18; 27.09.2021; „ბაკურიძე და კომპანია - ხელშეკრულება №03-10; 18.02 2019). ასევე, გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი კომპანია ,,გოლდ ფარმის“ სააფთიაქო ქსელ ,,ბაჩანასთან ( №04- 05; 10.06.2019)

პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 8 პროფესიული მოდულის პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

1. “სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევა“

მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა ამგვარად გამოიყურება: ჯამში ხელშეკრულებები და მემორანდუმი გაფორმებულია 116 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე. ერთ ცვლაში შესაძლებელია 78 პროფესიული სტუდენტის სწავლება.

შპს ,,გეფა“ – ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტი;

კომპანია ,,გოლდ ფარმა“ (5 აფთიაქი) - ერთ ცვლაში - 10 პროფესიული სტუდენტი; ორ ცვლაში - 20 პროფესიული სტუდენტი;

შპს ,,ჰეკატე“- ( 12 აფთიაქი) - ერთ ცვლაში - 24 პროფესიული სტუდენტი; ორ ცვლაში - 48 პროფესიული სტუდენტი;

შპს ,,ბაკურიძე და კომპანია“ ( 2 აფთიაქი) - ერთ ცვლაში 4 პროფესიული სტუდენტი; ორ ცვლაში 8 პროფესიული სტუდენტი;

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს რომ კომპანიაში პროფესიულ სტუდენტთა მისაღების ზღვრული ოდენობა მითითებულია მხოლოდ შპს ,,გეფა“- სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ( ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტი). ყველა სხვა შემთხვევაში ხელშეკრულებები და მემორანდუმი 2019 წელს არის გაფორმებული და წარმოდგენილია 2021 წელს შპს ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ მიერ პარტნიორთათვის გაგზავნილი კორესპონდენციები დანართებით, რომლითაც აცნობა ხელშეკრულებებში/მემორანდუმში შესატანი ცვლილებების თაობაზე, რომელიც ეხებოდა პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის დაზუსტებას, მოდულების ჩამონათვალსა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ჩამონათვალს. ყველა შემთხვევაში ხელმოწერებით დადასტურებულია პარტნიორთა მიერ კორესპონდენციების ჩაბარება. აკადემიაში დაცული დოკუმენტაციით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციით დასტურდება ყველა ზემოაღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობა. ვიზიტისას დათვალიერებული იქნა მხოლოდ შპს ,,ჰეკატეს“ერთი აფთიაქი და დადასტურებულია თანამშრომლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ბათუმის სამედიცინო აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ ბათუმის სამედიცინო აკადემიის აკადემიის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის№ 10675 ბრძანებით ( ცვლილება: №3860 ; 18.04; 2023) დამტკიცებულია პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტის მიერ დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები და ასევე ის მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. რეგულაცია შემუშავებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად. რეგულაციით განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულებისადმი წაყენებული მოთხოვნები არ ვრცელდება უკვე გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებებზე. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დარღვეული, **თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს პერიოდში დაწესებულებას გასავლელი აქვს რეავტორიზაცია რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმის გადახედვა და ისინი შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილებასთან.**

**8. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

აკადემიის დირექტორის 2022 წლის 11/10 №9398 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების წესები, რომლის მესამე თავი არეგულირებს შრომის უსაფრთხოების ნორმებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“. წესი გამოკრულია ლაბორატორიაში. ინსტრუქცია არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობის და უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ყველა ლაბორატორიაში მყოფ პირს. ლაბორატორიაში არსებული ნივთიერებები გარკვეულწილად მომწამვლელი და ცეცხლსაშიშია, ამიტომ აუცილებელია სისუფთავის და წესრიგის დაცვა. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტის მუშაობა დასაშვებია მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვითა და მისი მეთვალყურეობით.

რაც შეეხება ნარჩენების უტილიზაციის საკითხებს. როგორც მე-5 სტანდარტის შეფასებისას აღინიშნა, მეიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მეიჯარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საიჯარო ფართი სამედიცინო და ბიო- ქიმიური ნარჩენების გასატანად კონტეინერებით. მოიჯარეს აძლევს უფლებას ისარგებლოს სპეც. კონტეინერებით სამედიცინო და ბიო- ქიმიური ნარჩენების გასატანად. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნარჩენების გასატანად დაწესებულება დამატებით მომსახურების ხელშეკრულებას არ საჭიროებს.

უსაფრთხოების საკითხები დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და მემორანდუმით.

**არსებული მექანიზმებით და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 20 თებერვლის N 01– 28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება
- ფარმაციის ( სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმების ნიმუშები;
- პროფესიულ სტუდენტთა პარტნიორ ორგანიზაციებში განაწილების მტკიცებულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აკადემიის დირექტორის 2021 წლის 18 იანვრის №01-01 ბრძანებით (ცვლილება 2021 წლის 25.06 N 2925 ბრძანებით) დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია;
- აკადემიის დირექტორის 2023 წლის 25 იანვრის №00000540 ბრძანება ,,მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ“
- მობილობით გადმოსულ პირთათვის ქ. ბათუმის სამედიცინო აკადემიის სწავლის შედგების შესაბამისობის დამდგენი ( აღიარების) კომისიის 2022 წლის 20 დეკემბრის №1 სხდომის ოქმი;
- ,, ბათუმის სამედიცინო აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესისა და პირობების შესახებ“ ბათუმის სამედიცინო აკადემიის აკადემიის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის№ 10675 ბრძანება (ცვლილება: №3860 ; 18.04; 2023);
- ფარმაცევტულ დაწესებულებებსთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმი: ( შპს ,,ჰეკატე“ - ხელშეკრულება №03-10; 18.02 2019; შპს გეფა“ - ხელშეკრულება №03-18; 27.09.2021; „ბაკურიძე და კომპანია - ხელშეკრულება №03-10; 18.02 2019). ასევე, გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი კომპანია ,,გოლდ ფარმის“ სააფთიაქო ქსელ ,,ბაჩანასთან ( №04- 05; 10.06.2019)
- პარტნიორთათვის გაგზავნილი კორესპონდენციები ხელშეკრულებებში დამატებების შეტანის თაობაზე ( 2021
- აკადემიის დირექტორის 2022 წლის 11/10 №9398 ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების წესები (შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია(სააფთიაქო);
- პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციის ვიზუალური დათვალიერების შედეგი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 23.06. № 2896 ბრძანებით, ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 03.11 N 10335 ბრძანებით),სადაც მოცემულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტს აქვს გადაბარების უფლება, თუმცა არ არის დაკონკრეტებული

რამდენჯერ შეუძლია გავიდეს განმეორებით შეფასებაზე. ასევე, არ არის განსაზღვრული შეფასების გაცნობიდან რამდენ ხანში შეუძლია სტუდენტს ისარგებლოს აპელაციის წესით. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში ვხვდებით რამდენიმე ტერმინის არასწორ განმარტებას. (მაგ: ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა სამართლიანობა და გამჭვირვალობა.) აქვე აღსანიშნავია, რომ ცალკეულ პუნქტებში განმარტებები სწორად არის წარმოდგენილი. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს და დააზუსტოს დამატებითი შეფასებისა და აპელაციის პირობები, ასევე გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა ცალკეულ ტერმინთა (მაგ: ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა სამართლიანობა და გამჭვირვალობა) განმარტებებთან მიმართებით.

დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. მათ შორის კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკის ჟურნალები. შეფასების ინსტრუმენტები ვალიდირებულია როგორც დარგის, ასევე განათლების ვალიდატორის მიერ. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი დოკუმენტით. დაცულია ასევე უწყისის გაფორმების წესიც. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით.

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და აკადემიის დირექტორის 2021 წლის 23 ივნისი №2896 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“. გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (დირექტორის 01.08.2022 №5667 ბრძანება) მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების. დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა 2022-2023 წელს ჩატარებული შეფასების სისტემის შემოწმების ანალიზი - ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნა“ სადაც ჩანს, რომ დაწესებულებამ ჩაატარა ვერიფიკაცია 2 პროგრამის ფარგლებში, შეადგინა რისკ ფაქტორები, მოიწვია ვერიფიკატორები და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები. აღსანიშნავია რომ ვერიფიკაციის მეორე ეტაპზე - შეფასების პროცესის ვერიფიკაცია მოხდა დაწესებულების მიერ შემუშავებული ფორმის (ჩეკლისტი) მიხედვით, რომლითაც ვერიფიკაციის ჯგუფი აკვირდებოდა შეფასების მიმდინარეობის პროცესს. თუმცა შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ სტუდენტებს, რაც ექსპერტთა შეხედულებით, უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ვინაიდან პროფესიულ სტუდენტებს ყველაზე ობიექტურად შეუძლიათ შეაფასონ შეფასების პროცესი, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შემდეგი ვერიფიკაციის დროს შეფასების პროცესის ვერიფიკაციაში ჩართოს პროფესიული სტუდენტები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ელექტრონული ბაზა, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის**

დაწესებულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის მიხედვით, (მე -9 მუხლი პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

განმავითარებელ შეფასებას ემსახურება შუალედური შეფასებაც, რომელიც ახალი რეგულაციის მიხედვით დაინერგება კოლეჯში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აკადემიის დირექტორის 2021 წლის 23 ივნისი №2896 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“ ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 03.11 N 10335 ბრძანებით) ;
- აკადემიის დირექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს №5667 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ სასწავლო გეგმა, მოდულები;
- სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- ვერიფიკაციის მასალები;
- შეფასების უწყისები; შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ( 3 გვერდი)

26.06.2023



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: